ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია

ლუიზა თედორაძე

თანამედროვე სახელოვნებო პროცესის გაშუქების თავისებურებები ქართულ ონლაინგამოცემებში

ნაშრომი შესრულებულია ჟურნალისტიკის ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მანანა შამილიშვილი

პროფესორი

თბილისი

2023

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს წარმოაჩინოს ქართულ ონალინმედიაში სახელოვნებო თემების გაშუქების თავისებურება. კულტურის როლის მნიშვნელობა საზოგადოების განვითარებაზე, თავის მხივ, ზრდის მისი სწორად გაშუქების აუცილებლობას.

საკვლევ ობიექტად შერჩეულია ქართული ონლაინგამოცემები: ''რადიო თავისუფლება'', ''ინდიგო'' და ''On.ge''. ისინი 10 ონლაინ გამოცემბიდან აირჩა, ვინაიდან მათ ოფიციალურ ვებ-გვერდებზე, სხვა გამოცემებისაგან გასხვავებით, ყველაზე ხშირად ქვეყნდებოდა კულტურის თემები.

მოცემულ ნაშრომში კვლევის მეთოდად გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისებრივი კონტენეტ-ანალიზი. შერჩეულ მედიასაშუალებებზე დაკვირვებით შეგვიძლია დავადგინოთ ის სპეციფიკა, რომელიც ახასიათებს ქარულ ონლაინ გამოცემებს ხელოვნების საკითხებზე წერისას, რა სიხშირით ხდება მოცემული თემის გაშუქება და კონკრეტულად, კულტურის რომელი მიმართულების შესახებ იბეჭდება ყველაზე მეტი.

სარჩევი

შესავალი 1

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა..... 3

1.1 რა არის კულტურის ჟურნალისტიკა..... 3

1.2 კულტურის გაშუქების დადებითი მხარეები მედიაში და მის ფარგლებს გარეთ 5

თავი 2. კვლევის დიზაინი..... 11

2.1 კვლევის მეთოდოლოგია..... 12

თავი 3. კვლევის შედეგები..... 15

3.2 ''რადიო თავისუფლება'' 18

3.3 ''ინდიგო''..... 24

3.4 ''On.ge'' 29

თავი 4. დასკვნა..... 35

გამოყენებული ლიტერატურის სია 38

შესავალი

ფრანგული სიტყვიდან ''journal'' მომდინარეობს ტერმინი ჟურნალისტიკა და აღნიშნავს გაზეთს, დღიურს. ''ჟურნალისტიკა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ერთერთი სფეროა'' (მაიუკა, n.d.)-ასეთია მისი განმარტება ზოგიერთ სახელმძღვანელოში. პირველად ეს ტერმინი მხოლოდ ბეჭდური გამოცემების აღსანიშნად გამოიყენებოდა, თუმცა, დროთა განმავლობაში, მისი მნიშვნელობა უფრო გაფართოვდა.

დღევანდელ რეალობაში ჟურნალისტიკა ერთერთი მოწინავე დარგია და ბევრ მიმართულებას აერთიანებს. მასმედიის განვითარებამ საშულება მოგვცა უწყვეტ რეჟიმში მივიღოთ ინფორმაცია სხვადასხვა სფეროს შესახებ, იქნება ეს პოლიტიკა, საზოგადოება, სპორტი, ეკონომიკა, ხელოვნება თუ სხვა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჟურნალისტიკა სხვადასხვა მიმართულებას აერთიანებს. თანამედროვე მსოფლიოში მკვეთრად არის გამოკვეთილი დარგობრივი ჟურნალისტიკის არსებობის აუცილებლობა, რასაც ასევე ნიშურ ჟურნალისტიკას უწოდებენ. ამან, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ბეჭდური, ტრადიციული მედიის ჩანაცვლებას მულტიმედიური პლათფორმებით. თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გიორგი ჩართოლანი ''პირველი არხის'' ერთერში, გადაცემა ''დღის კოდში'' დარგობრივ ჟურნალისტის მნიშვნელობაზე საუბრისას ამობს, რომ თანამედროვე სამყაროში ინფორმაციაზე წვდომის შესაძლებლობის მკვეთრად გაზრდამ გამოიწვია აუცილებლობა, ნიშურ ჟურნალსიტიკას მეტი ყურადღება დასთმობოდა, რათა აუდიტორია სასურველ თემაზე სიახლეებითა და ამომწურავი ინფორმაციით მარტივად ინფორმირებულიყო. (პირველიარხი, 2020)

ჩვენი საკვლევი თემა კულტურის ჟურნალისტიკას ეხება, ხელოვნების საკითების გაშუქებას მედიაში, კერეძოდ კი, ქართულ ონლაინ გამცემებში. კულტურის გაშუქება ეხმარება ხელოვნების სხვადასხვა დარგის პოპულარიზაციას, საზოგადოების სწორ ინფორმირებას, ამ კონკრეტულ სფეროში მომხდარი სიახლეების წარმოჩენას. ის

მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანების გემოვნების ჩამოყალიბებაზე და ხელს უწყობს ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებით მათ დაინტერესებას.

სახელოვნებო პროცესის გაშუქებას სჭირდება კვალიფიციური ჟურნალისტი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ამ დარგის ფაქრგლებში შექმნილი მედიაპროდუქტის შეფასებასა და ანალიზზე. კვალიფიკაციის ნაკლებობა, თავის მხრივ, აისახება ხელოვნების სფეროთი საზოგადოების დაინტერესებასა და ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაზეც.

ჩვენი ნაშრომის მიზანს წარმოადგენს დავადგინოთ რამდენად არის განვითარებული კულტურის თემების გაშუქება ქართულ რეალობაში და ამისათვის ვაკვირდებით სამ ონლაინ გამოცემას: ''ინდიგო'', ''რადიო თავისუფლება'' და ''On.ge''. კვლევამ უნდა გვიპასუხოს შემდეგ კითხვებზე:

1. რამდენად ხშირად ქვეყნდება ხელოვნებასთან დაკავშირებული სიახლეები ონლაინ გამოცემებში ''ინდიგო'', ''რადიო თავისუფლება'' და ''On.ge''?
2. ხელოვნების რომელ კონკრეტულ მიმართულებას ეთმობა მეტი ყურადღება ამ ონლაინ გამოცემებში?
3. რა თავისებურებებით ხასიათდება ხელოვნებასთან დაკავშირებული სიახლეები თუ სტატიები?

ვიმედოვნებთ, რომ დასახული სტრატეგია, რომელიც მოიცავს კონტენტ ანალიზსა და რაოდენობით კვლევას, დაგვეხმარება ზემოხსენებულ კითხვებზე პასუხის მიღებაში.

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა

ჩვენი კვლევის მიზანია დავადგინოთ რა პრინციპით, გაშუქების სიხშირითა თუ თავისებურებებით ხასიათდება ხელოვნების თემატიკის გაშუქება შემდეგ ქართულ ონლაინ გამოცემებში: ''ინდიგო'', ''რადიო თავისუფლება'' და ''On.ge''. დავაკვირდებით მათ ვებ-გვერდებს. საკვლევად არჩეული პერიოდი გახლავთ 3 თვე, 2023 წლის 1 მარტიდან 2023 წლის 1 ივნისამდე.

სანამ უშუალოდ კვლევაზე გადავალთ და გავაკეთებთ კონტენტ-ანალიზსა და როდენობით კვლევას, მანამ გავეცნოთ ქართულ და უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურას მოცემულ თემასთან დაკავშირებით. ეს ყოველივე დაგვეხმარება, რომ საკითხი მეტად სიღრმისეულად გამოვიკვლიოთ, გავიგოთ, რა არის კულტურის ჟურნალისტიკა და როგორ ხდება სახელოვნებო პროცესის გაშუქება საქართველოში.

1.1 რა არის კულტურის ჟურნალისტიკა

მედია არის ის საშულება, რომლის დახმარებითაც საზოგადოება მუდმივად ინფორმირებულია მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე. ჟურნალისტიკის ურთიერთობა სხვა დარგებთან ბოლო ათწლეულების განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა და გახდა ერთერთი მოწინავე მეცნიერება მსოფლიო მასშტაბით. ამერიკელი ჟურნალისტი, პოლიტიკოსი და გამომცემელი George W. Ochs თავის ნაშრომში ''Journalism'' (Ochs, 1906) საუბრობს იმის შესახებ, რომ ცივილიზაციის გავრცელების არეალი იზომება ცოდნის გავრცელების დიაპაზონით და მან ყველაზე დიდი იმპულსი სწორედ ბეჭდური ხელოვნებისგან მიიღო და, მაშასადამე, ცივილიზაციამ განვითარების ახალ ფაზას სწორედ მაშინ მიაღწია, როცა ბეჭდურმა მედიამ საზოგადოებაში ფართოდ მოიკიდა ფეხი და ეს სწორედ ჟურნალისტიკის დამსახურებაა. პრესა იყო განმანათლებლობის ის მთვარი საშუალება, რომელიც საზოგადოებას ნახევარი საუკუნის მანძილზე ასაზრდოებდა. ჟურნალისტიკის ასეთმა განვითარებამ თავად ეს პროფესიაც ახალ საფეხუზე აიყვანა და მეტად კომპლექსური გახადა. George W. Ochs ამბობს: ''ჟურნალისტიკა არის ის ორატორი,

რომელიც ყოველ დღე მილიონობით ადამიანს, მილიონობით სხვადასხვა ენით ესაუბრება.'' (Ochs, 1906)

საზოგადოებასთან საუბრისთვის, რაც მედიის ძირითადი ფუნქციაა, ის სხვადასხვა მიმართულებას იყენებს, იქნება ეს ჟურნალ-გაზეთები, ინტერნეტი, ტელევიზია, რადიო, კინო თუ რეკლამა. მედიის მნიშვნელობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ძალზედ ყოველისმომცველია, ხოლო მისი მისი გავლენა - მასშტაბური. მედია თავის მხრივ იყოფა რამდენიმე მიმართულებად, ესენია: პოლიტიკური სპორტული, ეკონომიკური, კულტურის მედია და ა.შ. თითოეული მათგანი კონკრეტული დარგის გაშუქებაზეა ორინეტირებული.

კულტურის გაშუქება მედიაში ერთერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. მისი ინტერესი და ძირითადი საზრუნავი გახლავთ შემოქმედება და ხელოვნება, იქნება ეს კინო, მუსიკა, თეატრი, ლიტერატურა, ფოტოგრაფია თუ სხვა. მისთვის მნიშვნელოვანია ის ყველაფერი, რაც გავლენას ახდენს ხელოვნებაზე და კვებავს მას. იმის გამო, რომ საზოგადოებაში უფრო განვითარდა კულტურის აღქმა, შეიცვალა და გაფართოვდა მისი გაშუქების სფეროც. ის დღეს მოიცავს არა მხოლოდ ტრადიციულ ხელოვნების ფორმებს, არამედ ''ხალხურ ხელოვნებასაც'', რომელიც ასევე ''პოპულარული კულტურის'' სახელითაა ცნობილი.

პროფესორი ხელოვნების დარგში Jerome J. Hausman თავის სტატიაში ''Journalism and Art Criticism'' (Hausman, 1966) წერს, რომ მასმედიას უზარაზარი გავლენა აქვს ადამიანურ ღირებულებებზე და ჟურნალისტები, თავის მხრივ, არიან ძლიერი ძალის წარმომადგენლები, რომელთაც შუძლიათ იდეების ფორმიერება და მათი გავრცელება. მასმედიის განვითარებასთან ერთად სულ უფრო მეტი ადამიანია მუზეუმებსა და გალერიებში, მეტი ადამიანი საუბრობს ხელოვნებაზე. Jerome J. Hausman ამბობს:''ფაქტია, რომ პრაქტიკულად ყველა მსხვილ ჟურნალს უკვე ჰყავს ეგრეთ წოდებული ''ხელოვნების კრიტიკოსი'', რომელსაც აქვს კონკრეტული მიმართულება ხელოვნების შესახებ წერისას.'' (Hausman, 1966)

Jerome J. Jaisman მიაჩნია, რომ კრიტიკოსის ნიღაბს ამოფარებული ჟუნალისტების მიზანი არის მხოლოდ სტატიის შექმნა სიტყვების ოსტატური თამაშითა და ხელოვნების შესახებ

მინიმალური ცოდნის მეშვეობით. კრიტიკოს უნდა შეეძლოს მარტივად გაუმკლავდეს ხელოვნების ცვალებად ბუნებას, ჰქონდეს უნარი მოითმინოს მისი თავისუფალი ხასითი და ფეხი აუწყოს ახალ იდეებსა თუ გამოწვევებს. ჟურნალისტის მიერ ხელოვნების კრიტიკა ვერასდროს იქნება აბსოლუტურად ობიექტური, ვინაიდან ის პიროვნებაა და სუბიერქტურად აქვს ჩართული საკუთარი ღირებულებები და ასევე აქვს პიროვნული აღქმა, ამიტომაც სახელოვნებო პროცესის გაშუქების დროს ჟურნალისტმა უნდა დააგროვოს საკმარისი ცოდნა დარგის შესახებ, ეწვიოს წარსულს და იმოგზაუროს მომავლში.

1.2 კულტურის გაშუქების დადებითი მხარეები მედიაში და მის ფარგლებს გარეთ

ხელოვნების გაშუქება მედეაში თანდათან უფრო მეტ აქტუალურობას იძენს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. იგი არა მარტო გასართობ და რეკრეაციულ ხასიათს ატარებს, არამედ შემეცნებითი ხასიათისაა,. მნიშვნელოვან როლს ასრულებს სხვადასხვა კულტურული მიმართულების განვიათრებაში. ასევე ხელოვნების სწორმა გაშუქებამ შესაძლებელია ქვეყნის ეკონომიკის ზრდაში დიდი როლი ითამაშოს. გარდა ამ მიზეზებისა, კიდევ ბევრი ფაქტორი განაპირობებს ხელოვნების გაშუქების აუცილებლობასა და დადებით მხარეებს. ამ თემასთან დაკავშირებით არაერთი კვლევა თუ მოსაზრება არსებობს. BBS World Service-ის ყოფილი დირექტორი John Tusa 2015 წლის 10 ნოემბერს კიევში ჩატარებულ ''EU-Eastern Partnership Culture and Creativity Programme" შეხვდრაზე საუბრობს კულტურის გაშუქების მნიშვნელობაზე იმ დროს, როცა ირგვლივ პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა სუფევს. მან გამოყო 10 მიზეზი, თუ რატომაა მიზანშეწონილი სახელოვნებო თემების გაშუქება. (culturepartnership.eu, n.d.)

John Tusa ამბობს, რომ მედიას შეუძლია გაზარდოს მთავრობის მხარდაჭერა კულტურულ თემებზე. ბრიტანეთის წარსულის მაგალითზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინგლისურმა კულტურამ მას მერე დაიწყო პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვება, რაც

აშკარა გახდა, რომ მას ფული მოჰქონდა და მედიის დიდ ყურადღებას იქცევდა. (culturepartnership.eu, n.d.)

ცნება ''კულტურის ჟურნალისტიკა'' მკვეთრად ცალკე კატეგორიად არ უნდა იყოს განყენებული, ვინაიდან კულტურა ჟურნალისტიკის თითქმის ყველა სხვა სფეროსთანაა მჭიდრო კონტაქტში. მისი გაშუქება ხელს შეუწყობს სხვა დარგებისთვის მოგების ზრდასაც, მაგრამ თუ ეს სფერო მიზანმიმართულად გაიმიჯნება სხვა მიმართულებებისაგან, ეს დადებითი ეფექტიც შემცირდება.

კრიზისის დროს კულტურის გაშქებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისთვის. ის აყალიბებს ადამიანს და ეხმარება იმ კითხვებზე პასუხის გაცემაში, თუ ვინ არის ის და რა აერთიანებ სხვა ადამიანეთან. სიტუაცია იგივეა ერის შემთხვევაშიც და ეს განსაკუთრებულად გამოსადეგია კრიზსის დროს. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის დროს ბრიტანულ მედიას არ შეუწყვიტავს კულტურისა და ხელოვნების გაშუქება ეროვნულ მედიაში. ჯონ ტუსა ამბობს:''მედიამ უნდა გადასცეს შეტყობინებები. ომები, არჩევნები, პოლიტიკური სკანდალები ხდება კულტურის კონტექსტში - ის ვითარდეება ყოველგვარი კრიზისის მიუხედავად და იქნება ერთადერთი, რაც დღის ბოლოს დარჩება.“ (culturepartnership.eu, n.d.)

მეორე მსოფლიო ომის დროს ჰიტლერი აქტიურად იყენებდა პროპაგანდისტულ მედიას. გამონაკლისი არც სახელოვნებო მიმართულება იყო. გერმანელი რეპორტიორი პოლიტიკურ და საზოგადოებრივ თემებში Marcel Furstenau სტატიაში ''How the Nazis used posters art as propaganda'' წერს, რომ ჰიტლერი ხელოვნებას ომის ერთერთ იარაღად იყენებდა და რადიოსა და ტელევიზიასთან ერთად პროპაგანდისტული პლაკატების აქტიური ბეჭვდით იყო დაკავებული. ''ესთეტიურად სასიამოვნო პლაკატები წლების განმავლობაში აგრძელებდა ნაცისტების მხარჯაჭერას'' (Fürstenau, 2020). კულტურის მედია მკაცრად უნდა განცალკევდეს პროპაგანდისტული რიტორიკისაგან, რადგან ეს ქმედება აკნინებს ჟურნალისტური მასალების ხარისხსა და ეჭვქვეშ აყენებს მის სანდოობას. ისევე როგორც მთლიანად მედია უნდა იყოს მიუკერძოებელი, ასევე კონკრტულად

კულტურულის მედიამ თავი უნდა შეიკავოს ისეთი ქმედებებისგან, რომელიც აუდიტორიაზე პროპაგანდისტულ ზემოქმედებს მოახდენს, ვინაიდან მას ეს კარგად შეუძლია.

ხელოვნების გაშუქებისას ძალიან მნიშვნელოვანია ჟურნალისტმა კრიტიკულად შეხედოს თემას და მხოლოდ ზედაპირული კომპლიმენტებით არ შემოიფარგლოს. John Tusa მიიჩნევს, რომ:''კრიტიკული სიმპათია კარგ ზეგავლენას მოახდენს და დაეხმარება ხელოვანებს პროფესიულ ზრდაში.'' (culturepartnership.eu, n.d.)

მედია კულტურის განვითარებაში მნიშნელოვან როლს ასრულებს. ამისათვის საჭიროა, რომ ჟურნალისტები მუდმივად მზად იყვნენ ინოვაციებისთის და არა მხოლოდ უკვე მრავალჯერ განხილული და ფართოდ ცნობილი ხელოვნების ნიმუშები იკვლიონ და მათზე წერონ, არამედ ეძიონ რამე ახალი, თუნდაც შოკისმომგვრელი და არატრადიციული, რათა ხელი შეუწყონ მის განვითარებას. კულტურული ჟურნალისტების ნაწილი დღესაც წარსულში არიან ჩაფლუნლი და სათანადოთ არ ინტერესდებიან მომავლითა თუ აწმყოთი. John Tusa ამბობს;''გონების ნამდვილი ცნობისმოყვარეობა და ორიგინალურობა კულტურის ჟურნალისტის ძირითადი მახასიათებელია.'' (culturepartnership.eu, n.d.)

იმისათვის, რომ საზოგადეობის ინტერსი ხელოვნების მიმართ უფრო გაიზარდოს საჭიროა ჟრნალისტიკა იყოს საინტერესო და იუმორისტული და მხოლოდ აკადემიურობითა და სერიოზულობით არ შემოიფარგლებოდეს. ეს სფერო სავსეა ისეთი ახალი აბებით, როგორებიცაა სკანდალები, ორიგინალურობა, ახალი იდეები და მოვლენები. ჟურნალისტიკის სწორად შერჩეული ხასიათი მისი წარმატების ერთერთი მთავრი ფაქტორია.

''მედიის მიერ კულტურისა და ხელოვნების გაშუქება აყალიბებს საზოგადოების დისკუსს ერის მომავალზე''-John Tusa. ეს სიტყვები თავის მხრივ ნიშნავს, რომ ტრადიციულ ქვეყნებში, რომლებიც ახალ რთული გამოწვევის წინაშე დგანან. კულტურის სწორი გაშუქება მნიშვნელოვანია, რადგან ის ასახავს ერის წარსულს, აწმყოსა და მომავალს, მიუხედავას იმისა, გაშუქდება აკადემიური სახის თუ გასართობი კულტურა. ''იმ

შემთვევაში თუ ქვეყნის ეროვნულ იდენტურობას მოვაშორებთ პოლიტიკას, დაგვრჩება მხოლოდ კულტურა''. (Creativity, 2015)

სოციალური მეცნიერებათა დოქტორი რევაზ ჭიჭინაძე წიგნში ''კულტურა მედიაში'' (გიორგი ჩართოლანი, 2019)საუბრობს არტჟურნალისტიკაზე. ავტორს მიაჩნია, რომ ჟურნალისტიკაში ჟანრი მუდმივად ცვალებადი მოცემუბლობაა და ასევე მისი განვითარება ევოლუციის თანმდევი პროცესია. ჟურნალისტური ჟანრები იყოფა სამ ქვეჟანრად, ესენია: ანალიტიკური, საინფორმაციო და მხატვრული. იმ დროისაგან განსხვავებით, როცა ეს ჟანრები მკაცრად იყო გამიჯნული ერთმანეთისაგან და მათი კვეთა იშვიათი მოვლენა იყო, დღეს უკვე ასე აღარაა და თანამედროვე მედიის უნივერსალიზაციამ დაარღვია ის ჩარჩოები, რომელიც ჟანრების კლასიფიკაციას განსაზღვრავდა.

თანამედროვე მედიაპირობებში ჟურნალისტიკას უწევს მომხმარებელს ისეთი პროდუქტი შესთავაზოს, რომელიც მის პირად ინტერესებს მოერგება და სწორედ ამან გამოიწვია აუდიტორიის სეგმენტიზაცია. რევაზ ჭიჭინაძის აზრით:''მედიაბაზარი დღეს ე.წ. უნივერსალურ ჟურნალისტს ითხოვს. პროფესიონალს, რომელსაც შეუძლია ყველა ტრადიციულ მედიაფორმატში მუშაობა, რათა საბოლოოდ შეიქმნას მულტიმედიური პროდუქტი.'' (გიორგი ჩართოლანი, 2019) მიუხედავას ამისა, იმის გამო, რომ დღეს აუდიტორიის სეგმენტაცია აქტიურად მიმდინარეობას, საჭიროა, რომ ჟურნალისტი იმ კონკრეტული დარგის სპეციალისტიც იყოს, რომელსაც აშუქებს. ასე რომ დროთა განმავლობაში ჟურნალისტი უნივერსალირდა.

რევაზ ჭიჭინაძე მიიჩნევს, რონ ტერმინი არტჟურნალისტი თავის თავში მოიცავს ისეთ კადრს, რომელიც იქნება ექსპერტი, განმანათლებელი, კრიტიკოსი, ინფორმატორი და პიპულარიზატორიც. ''არტჟურნალისტიკის მკვლევარები სეგმენტს ორ ძირითად მიმართულებად ყოფენ: 1 - კრიტიკა, რაც პირველ რიგში, სფეროს პროფესიონალურ სეგმენტზეა გათვლილი და 2 - მასობრივი არტჟურნალისტიკა, რაც ფართო, სხვადასხვა

გემოვნების მქონე აუდიტორიის ხელოვნებასთან კავშირს გულისხმობს:'' (გიორგი ჩართოლანი, 2019)- წერს რევაზ ჭიჭინაძე.

ზოგიერთ სპეციალიზირებულ გაზეთებსა თუ ჟურნალებში დღესაც იბეჭდება კრიტიკა-რეცენზიის ტექსტები, თუმცა უფრო იშიათად, ისინი ონლაინმედიამ შეცვალა. არტკრიტიკის მიმართულებას სჭირდება ისეთი კადრები, რომლებიც არა მხოლოდ მედიის, არამედ დარგის მცოდნენიც იქნებიან. უკანასკნელ ათწლეულში ხშირად ვრცელდებოდა სათაურები ''არტკრიტიკის დასასრული'' და ''არტკრიტიკის კრიზისი'', რამაც საბოლოოდ მეცნიერები იმ დასკვნამდე მიიყავანა, რომ არტკრიტიკამ შეიცვალა ფორმა და ადაპტირდა დღევანდელ რეალობაში.

Maarit Jaakkola ჟურნალისტიკისა და სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ნაშრომში ''Content Analysis in the Research Field of Cultural Coverage'' (Oehmer-Pedrazzi, 2022) წერს, რომ ხელოვნების გაშუქება შეიძლება დაიყოს სამ მიმართულებად, ესენია ხელოვნება, კულტურა და გასართობი ჟურნალისტიკა. კულტურის ჟურნალისტიკა არის სპეციალიზირებული და მოიცავს შედარებით ვიწრო არეალს, ფოკუსირებულია ხელოვნების კონკრეტულ სახეებზე, იქნება ეს ლიტერატურა თუ მუსიკა. ასეთი სტატიები, როგორც წესით, გამოქვეყნებულია ცალეკულ განყოფილებაში სახელწოდებით ''ხელოვნება და კულტურა''. ხოლო გასართობი ჟურნალისტიკია არ შემოიფარგლება ხელოვნებაზე ვიწრო ჭრილში საუბრით და მოიცავს ამ თემასთან დაკაშვირებული ცხოვრების სტილის, ცნობილი ადამიანების შესახებ სიახლეებისა და ყოველდღიური ახალი ამებების გაშუქებას.

Maarit Jaakkola წერს:''კულტურის გაშუქების დროს ჟურნალისტმა შეიძლება ხელოვნების კონკრეტული დარგი აირჩიოს. არსებობს მხატვრობის, კინოს, მუსიკის, თეატრის, ოპერისა და ბალეტის, საკვებისა და რესტორნების მიმოხილვები და ასევე შეიძლება განსხვავდებოდეს გაშუქების სახეები, დაიწეროს სტატია, ინტერვიუ, რეცენზია, ბლოგი.'' (Oehmer-Pedrazzi, 2022)

ვიკიპედიაში სიტყვა ბლოგი ასეა განმარტებული: ''ერთი ან რამდენიმე ადამიანის მიერ შექმნილი საიტი, რეგულარული ჩანაწერებით, რომელიც აღწერს სხვადასხვა

მოვლენას...ბლოგების უმეტესობა შეიცავს კომენტარს ან ახალ ამბავს კონკრეტული თემის შესახდებ, ზოგჯერ კი წარმოადგენს ონლაინ დღიურს''. (ბლოგი, n.d.)

Branka Vuleta არის ''99FIRMS'' სტატისტიკოსი, რომელიც ბლოგების პოპულაროების შესახებ სტატიასა და სტატისტიკას აქვეყნებს. ავტორი ამბობს: ''50 წლის წინ მხოლოდ მედიის წარმომადგენლებს შეეძლოთ სხვადასხვა თემაზე საკუთრი შეხედეულებების გაზიარება საზოგადოებისთვის, მაგრამ ბლოგინგმა ამის გაკეთების შესაძლებლობა მისცა ყველა იმ ადამიანს, ვისაც აქვს სოციალური ქსელი და ინტერნეტი.'' (Vuleta, n.d.) მის მიერ გამოქვეყნებილი სტატისტიკის მიხედვით დღეს ინტერნეტში 600 მილონზე მეტი ბლოგია. საშუალოდ ადამიანი 37 წამს ხარჯავს ბლოგის კითხვაში, ხოლო მის წერაზე დახარჯული დრო ყოველწლიურად იზრდება.

ხელოვნების სფეროზე ბლოგის წერა ერთერთი აქტუალური თემაა და მას მრავალი ადამიანი იყენებს, იქნება ეს ჟურნალისტი, კრიტიკოსი თუ უბალოდ მოქალაქე. ბლოგთან ერთად ხელოვნების გაშუქების დროს აქტუალურად გამოიყენება რეცენზიების წერაც. რეცენზია არის მიმდინარე საკითხებზე კრიტიკული შეხედულება. ფილების, წიგნების, თატრისა თუ ოპერის და ხელოვნების სხვა მიმართულებების რეცენზირება აქტიური მოვლენაა.

თავი 2. კვლევის დიზაინი

საკითხის აქტუალურობა:

საქართველოს ფარგლებსა და მის გარეთ მიმდინარე მოვლენები ძირითადად პოლიტიკური სახისაა და ტელევიზიის, ჟურნალ-გაზეთებისა თუ ონლაინ გამოცემების ყურადღებაც მსგავსი სფეროსაკენაა მიმართული. ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ჟურნალისტიკის ეს მიმართლებები აქტუალურობით სარგებლობს. ბოლო პერიოდში არსებული ცვლილებების გამო, რაც გულისხმობს საქართველოში სპორტისა და ხელოვნების სფეროში მომხდარ დადებით ბიძგებს, ნიშური ჟურნალისტიკის ეს ჟანრებიც პოპულარობას იძენს. მაგალითად, 2023 წლის 15 ივნისს ''ბიზნეს ფორმულას'' გამოქვეყნებულ სტატისტიკაში ვკითხულობთ, რომ ''2022 წელს 112%-ით მეტი სპეკტაკლი ჩატარდა''. (ფორმულა, თ. გ.) საინტერესოა იმის დადგენა, თუ დღეს როგორ შუქდება ხელოვნების საკითხები ქართულ ონლაინ გამოცემებში, რა სიხშირითა და სპეციფიკით. მსგავსი კვლევა 2011 წელს ჩატარდა ტელევიზიებსა და ბეჭდური მედიაზე დაკვირვების ფარგლებში, ''მედიის გავითარების ცენტის'' (კვირიკაშვილი, n.d.) მიერ.

კვლევის ობიექტი:

კვლევის ობიექტად განვსაზღვრე სამი ოლნლაინგამოცემა: ''რადიო თავისუფლება'', ''ინდიგო'' და ''On.ge''.

იმის შესახებ, თუ რატომ და რა ნიშნით ავარჩიე ეს გამოცემები, შემიძლია ვთქვა, რომ საშუალოდ 10 ქართული ონლაინმედიის ვებ-საიტი შევამოწმე და ვეძებდი ისეთებს, რომლებშიც კულტურის გაშუქებას საკმარისი ადგილი ექნებოდა დათმობილი. სხვა კანდიდატები რამდენიმე თვეში ერთხელ წერდნენ აღნიშნული თემის შესახებ, ან საერთო არ ჰქონდათ კულტურის განყოფილება, ამიტომაც საბოლოოდ შეირჩა ეს სამი ონლაინ გამოცემა, რომლებიც თვეში რამდენჯერმე, ერთ-ერთი კი ყოველდღიურადა აქვეყნებდა სიახლეებს.

კვლევის მიზანი:

კვლევის მიზანია დავადგინოთ რა სიხშირით ქვეყნდება ქართლ ონლაინ გამოცემებში კულტურული თემები და რა სპეციფიკა ახასიათებს მას, ''რადიო თავისუფლების'', ''ინდიგოსა'' და ''On.ge''ს მაგალითზე.

კვლევის ამოცანები:

1. საკვლევი მედიასაშუალებების ონლაინსაიტების მონიტორინგი
2. კულტურული თემების მედიაგაშუქების ტენდენციის დადგენა
3. დასაკვირვებელი გამოცემების რაოდენობითი კვლევა და ანალიზი
4. დასაკვირვებელი გამოცემების კონტენტ-ანალიზის შედარება და ანალიზი
5. რეკომენდაციის განსაზღვრა კულტურული თემების გაშუქებისთვის

საკვლევი მასალის შერჩევა:

საკვლევი მასალის შერჩევა მოხდა იმ პუბლიკაციათა რაოდენობის მიხედვით, რაც საკვლევ თემაზე იქნა გამოქვეყნებული არჩეულ ონლაინ მედიასაშუალებებში.

საკვლევი პერიოდი:

საკვლევ პერიოდად განისაზღვრა 2023 წლის 1 მარტიდან 2023 წლის 1 ივნისამდე პერიოდი, სრული 3 თვე.

2.1 კვლევის მეთოდოლოგია

საკვლევი კითხვები:

RQ1: საკვლევი ონლაინ მედია რა თავისებურებებით აშუქებს კულტურასთან დაკავშირებულ საკითხებს?

RQ2: რა რაოდენობით აშუქებენ არჩეული ონლაინ მედიები კულტურის საკითხებს?

RQ3: არჩეული ონლაინ გამოცემები რამდენად არიან ორიენტირებულები საკითხის სიღრმისეულ გაშუქებაზე და ამ მასალის პროფესიონალურად მომზადებაზე?

კვლევის ჰიპოთეზა:

H1: საკვლევად არჩეული მედიასაშუალებები კულტურის საკითხებს რეგულარულად აშუქებენ.

H2: შერჩეული მედიასაშუალებები არ არიან ორიენტირებულები იმაზე, რომ გასაშუქებელი მასალები სიღრმისეულად მოამზადონ.

H3: კულტურის გაშუქებაზე პასუხისმგებელ, არჩეულ მედიასაშუალებებში მომუშავე ჟურნალისტების უმრავლესობას აქვთ საკმარისი ცოდნა და განათლება კულტურის სფეროში და ეს ფაქტი მათ მიერ მომზადებულ მასალას ეტყობა.

კვლევის მეთოდი:

წინამდებარე კვლევის მეთოდია რაოდენობითი და კონტენტ-ანალიზი.

წინასწარ შერჩეული 3 ონლაინ გამოცემის ''რადიო თავისუფლების'', ''On.ge'' და ''ინდიგოს'' ვებ-გვერდიდან მოპოვებული მასალები გაანალიზებული და შესწავლილია თვისობრივი და რაოდენობრივი კატეგორიების მიხედვით.

თვისობრივი კვლევა გვეხმარება განვსაზღვროთ საკვლევი მასალის თემატიკა და შინაარსი. თვისობრივი კვლევის კრიტერიუმებად გამოიყო: რაოდენობითი კვლევა, ჟანრი, წყარო, ტონი, თემა, პროფესიული ეთიკა, ძირითადი ტენდენციები.

რაოდენობითი კვლევა:

რაოდენობითი კვლევა გვეხმარება დავადგინოთ საგნის რაოდენობრივი განზომილებები. ავიღოთ, ესა თუ ის, კრიტერიუმები და მის გარშემო ჩავატაროთ მონაცემთა რაოდენობრივი ანალიზი და შედეგები წარმოვადგინოთ ცხრილებისა თუ დიაგრამების სახით. ჩვენს შემთხვევაში, რაოდენობრივი კვლევა მხოლოდ იმისათვის გამოიყენება, დაგვნახოს რამდენი და რამდენი სახის სიხალე იწერებოდა კულტურის განყოფილებაში.

ჟანრი:

ჟანრის განსაზღვრა საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, თუ რადენად მრავალფეროვანია კულტურის თემების გაშუქება მედიაში. ასევე მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ, თუ რა ჟანრების გამოყენებით შუქდება თავად ეს საკითხები. ავტორები იყენებენ ნიუსებს, რეცენზიებს, ბლოგებს, ინტერვიუებსა თუ მოსაზრების სტატიებს.

წყარო:

ამ კატერგორიის მიზანია დაადგინოს, თუ რომელ წყაროს იყენებდა ავტორი ინფორმაციის გავრცელებისას და რამდენად სწორადაა ეს წყაროები შერჩეული. შესაძლებელია აგრეთვე დავადგინოთ ავტორი წერისას პირველწყაროს ეყრდნობოდა, თუ-არა.

ტონი:

ტონის სახები იყოფა სამ ჯგუფად, ესენია: ნეგატიური, პოზიტიური და ნეიტრალური ტონი. ნეგატიური ისეთი ტონია, რომლის დროსაც აშკარად გამოიკვეთება საკითხისადმი ნეგატიური დამოკიდებულება. ასეთად შეგვიძლია მივიჩნიოთ, მაგალითად უარყოფითი რეცენზია.

ტონი ნეიტრალური მაშინაა, როდესაც მასში არ იგრძნობა მიკერძოება არც დადებითი და არც უარყოფითი მხარისაკენ.

პოზიტიურია ტონი, როდესაც კულტურის სხვადასხვა საკითხისადმი დადებითი განწყობა შეინიშნება. მაგალითად, ისეთი კულტურული აქტივობის გაშუქება მედიაში, რომლის მსგავსიც ჯერ არ ჩატარებულა საქართველოში.

თემა:

ამ შემთხვევაში მოინიშნა ის თემატიკა, რომელიც ჩვენს მიერ შესწავლილ ონლაინპუბლიკაციებში გამოიკვეთა.

პროფესიული ეთიკა:

ისევე როგორც სხვა მნიშვნელოვან თემებზე წერისას, კულტურის თემების გაშუქების დროსაც მნიშვნელოვანია იმის დადგენა, იცავენ თუ არა მედიასაშუალებები ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტებს.

თავი 3. კვლევის შედეგები

3.1 რაოდენობრივი ანალიზის შედეგები

რაოდენობრივი კვლევის ჩასატარებლად ჩვენ ავირჩიეთ პერიოდი 2023 წლის 1 მარტიდან - 2023 წლის 1 ივნისამდე. დასაკვირვებლად გამოვიყენეთ ''ინდიგო'', ''რადიო თავისუფლება'' და ''On.ge'' ონლაინგამოცემები. კვლევის პირველივე მიზანი იყო იმის დადგენა, თუ რა რადენობით იწერებოდა ამ გამოცემებში კულტურის საკითების შესახებ. მოცემული ცხრილები, მხოლოდ და მხოლოდ, ასახავს გამოქვეყნებული მასალის რაოდენობას და საშუალებას გვაძლევს შევადაროთ აღებული სამი ონლაინგამოცემა ერთმანეთს. კვლევის დროს დაკვირვება არ მომხდარა სხვა მიმართულების სიახლეების რაოდენობაზე, ამიტომ ვერ გავაანალიზებთ იმას, თუ რამდენით მეტი ან ნაკლები მასალა ქვეყნდებოდა კულტურის განყოფილებაში, სხვა განყოფილებებთან შედარებით.

მოცემულ ქართულ ონლაინპლათფორმაზე კულტურის თემატიკაზე გამოქვეყნებული სიახლეების რაოდენობა ჯამში, ჩენი მონიტორინგის შედეგად გამოიყურება ასე:

ონლინ გამოცემა	სიახლეების რაოდენობა (ჯამში)
On.ge	359
ინდიგო	15
რადიო თავისუფლება	29

ასევე ვაწარმოე თითოეულ თვეზე ცალ-ცალკე დაკვირვება, იმის თაობაზე, თუ სამივე ონლაინპლათფორმაზე რა რაოდნეობის სიახლეები ქვეყნდებოდა მოცემული თვეების განმავლობაში. ამ შემთხვევაში რაოდენობითმა დაკვირვებამ შემდეგი შედეგები გვაჩვენა:

ონლაინ გამოცემა	მარტი	აპრილი	მაისი
On.ge	144 სიახლე	81 სიახლე	134 სიახლე

ონლაინ გამოცემა	მარტი	აპრილი	მაისი
ინდიგო	2 სიახლე	10 სიახლე	3 სიახლე

ონლაინ გამოცემა	მარტი	აპრილი	მაისი
რადიო თავისუფლება	7 სიახლე	6 სიახლე	16 სიახლე

მოცემული კვლევის გაანალიზებისას ვადგენთ, რომ ყველაზე მეტ სიახლეს დროის ამ მონაკვეთში ონლაინგამოცემა ''On.ge'' გვთავაზობს, ის დიდი რაოდენობით უსწრებს ''რადიო თავისუფლება'', ხოლო ამ უკანასკნელს ფეხდაფეხ მიჰყვება გამოცემა ''ინდიგო''.

საინტერესოა, რომ ''On.ge'' ყველაზე მეტ, 144 საიხლეს, მარტის თქვეში აქვეყნებს, ''რადიო თავისუფლება'' 10 სიახლეს აპრილში, ხოლო ''ინდიგო'' 16 სიახლეს - მაისში.

რაოდემობითი კვლევა ასევე ვაწარმოე იმის მიხედვით, თუ კულტურის რომელი მიმდინარეობის შესახებ იწერება სიახლეები მოცემულ ონლაინგამოცემებში. იქნება ეს კინო, თეატრი, მუსიკა, მოდა, ფოტო, ლიტერატურა, კულტურული ძეგლები, შოუ-ბიზნესი თუ მხატვრობა. რაოდენობითი კვლევა ასევე ჩავატარეთ იმის მიხედვით, თუ რა სახის სიახლეები ქვეყნდება ამ პლათფორმებზე. იქნეოდა ეს სტატია, ინტერვიუ, რეცენზია, ახალი ამბები, ბლოგი თუ ფოტო-ვიდეომასალა. იმის გათვალისწინებით, რომ ''On.ge'' ''რადიო თავისუფლებასა'' და ''ინდიგოსგან'' განსხვებით ბევრად მეტ სიახლეებს

სთავაზობს აუდიტორიას, მასში გამოქვეყნებული მასალის გასაშიფრად მხოლოდ 1, აპრილის თვე შევარჩით. დანარჩენ ორ პლატფორმაზე სამივე თვე გავაანალიზეთ.

ონლაინ გამოცემა	ლიტერატურა	მუსიკა	მხატვრობა	თეატრი	ისტ. ძეგლები	შოუ-ბიზნესი	კინო	ფოტო
ინდიგო	9	5	1	-	-	-	-	-
რადიო თავისუფელბა	10	1	2	1	6	1	4	-
On.ge	12	9	2	3	-	13	25	7

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ რამდენიმე სიახლე, რომელიც კულტურის სექციაში იყო განთავსებული გახლდათ რაიმე რეკლამა, ქვიზი ან ისეთი მასალა, რაც ჩვენს კვლევას არ ეხმიანება, ამიტომაც ისინი რაოდნეობით კვლევაში არ იქნა გათვალისწინებული.

აქვე გთავაზობ ასევე სიახლეების სახეების შესახებ წარმოებულ რაოდენობით ანალიზს:

ონლაინ გამოცემა	ინტერვიუ	ახალი ამბები	რეცენზია	სტატია|ბლოგი	ვიდეო-ფოტომასალა
ინდიგო	4		2	8	1
რადიო თავისუფლება	2	7	1	17	3
On.ge	1	49	2	9	9

სამივე ონალინ გამოცემას საკუთარი ვებ-გვერდზე ცალკე აქვს გამოყოფილი კულტურის განყოფილება და მათ საკმაო ყურადღებას უთმობს, სწორედ ამიტომ შეირჩა საკვლევად ისინი სხვა მრავალი ქართული ონლაინგამოცემებიდან. როგორც რაოდენობრივი ანალიზი

გვიჩვნებეს, ''On.ge'' ყველზე მეტად კულტურასთან დაკავშირებულ ახალ ამბებს აშუქებს და შესაბამისად, სიახლეების რაოდენობითაც ლიდერობს. ''რადიო თავისუფლება'' უპირატესობას სტატიებს ანიჭებს, რომელსაც შემდგომ ასევე ახალი ამებები მოჰყვება, ხოლო ''ინდიგო'' ხელოვნებასთან დაკავშირებულ სტატიებსა და ინტერვიუებს უთმობს დიდ ყურადღებას.

3.2 ''რადიო თავისუფლება''

2023 წლის 1 მარტიდან 2023 წლის 1 ივნისამდე ონლაინ გამოცემა ''რადიო თავისუფლების'' ვებ-გვერდზე კულტურის თემატიკასთან დაკავშირებით 29 ჟურნალისტური მასალა გამოქვეყნდა.

ჟანრი:

''რადიო თავისუფლების'' ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ჟანრობრივი მრავალფეროვნება ასე გამოიყურება:

ინტერვიუ: 2

ახალი ამბები: 7

რეცენზია: 1

სტატია: 17

ვიდეო-ფოტომასალა: 3

დიაგრამა 3.2: ჟანრობრივი გადანაწილება



თემა:

''რადიო თავისუფლების'' ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ მასალაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კულტურის გაშუქების კუთხით ყველაზე მეტი ლიტერატურასთან დაკავშირებული ინფორმაცია ქვეყნდება. მოცემული მასალების უმრავლესობა პოზიტიური ტონით შუქდება. მათში მოთხრობილია სიახლეები ამ მიმართულების შესახებ და ზოგიერთ მათგანში განხილულია ესა თუ ის ლიტერატურული ნიმუში.

''რადიო თავისუფლებას'' ვებ-გვერდზე საერთო თემატური გადანაწილება შემდეგნაირია:

1. ლიტერატურა: 10
2. მუსიკა: 1
3. მხატვრობა: 2
4. თეატრი: 3
5. ისტორიული ძეგლები: 6
6. შოუ-ბიზნესი: 1

7. კინო: 4

ლიტერატურის შესახებ არსებულ მასალებთან ერთად მოცემულ პლათფორმაზე დიდი ყურადღება ეთმობა ისტორიული ძეგლების შესახებ დაწერილ სიახლეებს, რაც განაპირობა იმ გარემოებამ, რომ კვლევის მიერ გათვალისწინებულ პერიოდში ამ მიმართულებით საქართველოში სხვადასხვა უარყოფითი ცვლილება მოხდა და შესაბამისად, ჟურნალისტების დაინტერესებაც გამოიწვია. ჩვენ გვხვდება სტატიები სახელწოდებით: ''ჯვრის მონასტრის რეაბილიტაციას კულტურის სამინისტრო აფერხებს'', ''ჯვარი საფრთხის ქვეშ'', ''კადრები იუსუფელიდან'' - რა იტბორება ისტორიულ ტაოში?'' და ''შეწყდეს რეკონსტრუქცია - ''ოქროს ჩარდახის'' აღდგენის პროექტი სადავო ხდება''.

წყარო:

''რადიო თავისუფლების'' კულტურის განყოფილებაში გამოქვეყნებული მასალის უმრავლესობას მოსაზრების სტატიები წარმოადგენს, რომელთა უმეტესობაში წყაროდ პირველწყაროა გამოყენებული. აქტიურად გვხვდება ციტირებები. ისეთ თემებზე, სადაც განხილულია საჯარო მოვლენები, ავტორები იმეორებენ მთავრობის წარმომადგენლების ან საჯარო უწყებების მიერ გამოქვეყნებულ განცხადებებს. მაგალითად, თათა კაჭკაჭიშვილის მიერ 2023 წლის 18 მაისს გამოქვეყნებულ სტატიაში ''შეწყდეს რეკონსტრუქცია - ''ოქროს ჩარდახის'' აღდგენის პროექტი სადავო გახდა'' ავტორი ქუთაისის მერიის განცხადების ციტირებას ახდენს: ''კვლევამ შესაძლებლომა მოგვცა, ჩამოგვეყალიბებინა ძეგლის რეაბილიტაციის ხედვა''. [1]ასევე წყაროდ ჰყავს კულტუროლოგი ცირა ელისაშვილი, რომელიც კულტურის ძეგლთან შეუსაბამო მასალაზე საუბრობს. სტატიაში ვხვდებით არქიტექტორ რეზი გვარამაძის მოსაზრებას და ასევე, სოციოლოგისა და კულტურის მკვლევარი, სოფო ზვიადაძის სიტყვებსაც.

2023 წლის 25 მარტს ჟურნალისტი და ბლოგერი ჯიმშერ რეხვიაშვილი ვრცელ სტატიას აქვეყნებს სათაურით: ''ვის ეშინია ''ვეფხისტყაოსნის'' მეგრული თარგმანის?!'' [2]ავტორს

---

[1] თათა კაჭკაჭიშვილი., ''შეწყდეს რეკონსტრუქცია-''ოქროს ჩარდახის'' აღდგენის პროექტი სადავო ხდება. (კაჭკაჭიშვილი, 2023)
[2] ჯიმშერ რეხვიაშვილი., ''ვის ეშინია ''ვეფხისტყაოსნის'' მეგრული თარგმანის?!''. (რეხვიაშვილი, 2023)

სტატიაში მრავალი წყარო ჰყავს. აღსანიშნავია, რომ ის წყაროდ ორივე მხარეს წარმომადგენლებს იყენებს, მომხრეებსაც და მოწინააღმდეგეებსაც. ნაწერში გვხვდება როგორც პირველწყაროები, ისე ისტორიული წყაროებიც.

ტონი:

''რადიო თავვისუფლების'' მიერ გამოქვეყნებული მასალის საერთო ტონი ნეიტრალურია.

ონლაინ გამოცემაზე განთავსებულ მასალათა უმეტესობაში არ ვლინდება ავტორთა ტონის მიკერძოება, არც მხოლოდ პოზიტიური და არც მხოლოდ ნეიტრალური კუთხით. საკამათო თემებზე არსებულ სტატიებში ჟურნალისტთა უმრავლესობა ცდილობს ორივე მხარის მოსაზრებები წარმოაჩინოს და მკითხველს საშუალება მისცეს თავად გადაწყვიტოს რომელ მათგანს მიემხრობა.

გვხვდება ნეგატიური ტონით დაწერილი სტატიებიც, რომლის კარგი მაგალითია ''რადიო თავისუფლების'' რუსული სამსახურის მასალების მიხედვით მომზადებული სტატია, რომელიც 2023 წლის 5 აპრილს გამოქვეყნდა და სათაურშივე ეტყობა ნეგატიური ტონი: ''რატომ აძალებენ რუს სტუდენტებს ჩინური ენის სწავლას?[3]'' თავის მხრივ, ეს სტატია პოლიტიკური ხასიათისაა და გასაკვირიცაა კულტურის განყოფილებაში მისი არსებობა, მაგრამ, რადგანაც მაინც გვხვდება, მისი განხილვაც რელევანტურია.

ნეგატიური ტონით დაწერილი მასალის კიდევ ერთი მაგალითია 2023 წლის 1 მაისს გამოქვეყენებული სტატია, ''დააყენეს კედელთან და დახვრეტის იმიტაცია მოუწყვეს'' - გამოტოვებული პოეტი ნიკო სამადაშვილი''[4], რომლის ავტორია თეა თოფურია. სტატიაში საუბარია ნიკო სამადაშვილზე, თბილისელ, არც თუ ისე, ცნობილ პოეტზე, რომელიც, ავტორის აზრით:''ქვეყანას, დროს, ეპოქას გამორჩა, გამოეპარა''. ავტორი სტატიაში ნეგატიური ტონით საუბრობს, იმაზე, რომ პოეტი დავიწყებული და დაუფასებელია.

[3] ''რატომ აძალებენ რუს სტუდენტებს ჩინური ენის სწავლას?''. (2023)
[4] თეა თოფურია.,''დააყენეს კედელთან და დახვრეტის იმიტაცია მოუწყვეს'' - გამოტოვებული პოეტი ნიკო სამადაშვილი''. (თოფურია, 2023)

პროფესიული ეთიკა:

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ''რადიო თავისუფლება'' კულტურის თემების გაშუქების დროს ძირითად შემთხვევებში იცავდა ჟურნალისტურ ეთიკას, რაც გამოიხატებოდა წყაროების ბალანსით, ჟურნალისტების პროფესიონალიზმითა და დარგობრივი ცოდნით.

2023 წლის 26 მაისს ელენა ზავოდსკაიას მიერ გამოქვეყნებულ სტატია - რეცენზიაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჟურნალისტს აღნიშნულ სფეროში საკმაო ცოდნა აქვს და თეტრალურ პერფომანსს სათანადო რეცენზირებას უწევს: ''მოქმედება ჯადოსნურის შთაბეჭდილებას ტოვებდა, სუსტი განათებისა და მოძრავი ჩრდილების პირობებში მხატვართან მოდიოდნენ და...'' [5]- წერს ავტორი.

კულტურის მიმართულებით განსწავლულ ჟურნალისტად შეგვიძლია ასევე ჩავთვალოთ ''მალევიჩი თავს უკრაინელად აღიქვამდას'' [6]ავტორი ალექსეი შიშკინი, რომელიც 2023 წლის 22 აპრილს გამოქვეყნებულ მოსაზრების სტატიაში სიღრმისეულად აღწერს ხელოვანის ცხოვრებასა და შემოქმედებას და ამასთან ერთად, რელევანტურ წყაროებსაც იყენებს.

ძირითადი ტენდენციები:

- **აქცენტები ლიტერატურულ მიმართულებაზე:**

''რადიო თავისუფლების'' მიერ კულტურული გაშუქების შესახებ გამოქვეყნებულ მასალათა უმრავლესობას მოსაზრების სტატიას წარმოადგენს და ისინი ძირითადად ხელოვნების მიმართულებებიდან ერთს, ლიტერატურას ეხება. მსგავს სტატიებში თემა სიღრმისეულადაა განხილული სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით და ყველა მათგანი განსხვავებული და საინტერესოა.

გამოცემის ვებ-გვერდზე ვხვდებით, როგორც ჟურნალისტი თეა თოფურიას სტატიას ''ნატყვიარები თავის ქალებზე''- რა წერია ჟურნალში ''კინ-O'', რომელიც თაროზეა

[5] ელენა ზავოდსკაია., ''იოკო ონო და Cut Piece სოხუმში''. (ზავოდსკაია, 2023)
[6] ალექსეი შიშკინი., ''მალევიჩი თავს უკრაინელად აღიქვამდას''. (შიშკინი, 2023)

შემოდებული''[7], ასევე ეკა ქევანიშვილის მიერ გამოქვეყნებულ მასალას სათაურით ''გოჭები და ქათმები აბრეშუმის კაბებში'' - როგორ დაიწერა 21-ე საუკუნის ხუთი ზღაპარი''.[8]

- **შერჩევითი გაშუქება:**

2023 წლის 1 მარტიდან 2023 წლის 1 ივნისამდე ''რადიო თავისუფლების'' ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული სტატიების ანალოგი სხვა შერჩეულ მედიასაშუალებებში არ ფიქსირდება. მოცემული პლათფორმა ბევრად ნაკლებ სიახლეს აქვეყნებს, ვიდრე გამოცემა ''On.ge'', მაგრამ მეტს ვიდრე ''ინდიგო''. მათ მიერ გაშუქებული კულტურის თემები სრულიად განსხვავებულია.

მაგალითად ''რადიო თავისუფლების'' საიტზე არ გვხვდება წმინდაწყლის რეცენზია, რაც კულტურის გაშუქებაში ერთერთი მოწინავე მიმართულებაა, თუმცა გვხვდება ინტერვიუები, მაგალითად ნასტასია არაბულის მიერ 2023 წლის 3 მარტს გამოქვეყნებენული ინტერვიუ სათაურთ ''ჯვარი საფრთხის ქვეშ, ინტერვიუ დავით ხოშტარიასთან''[9], რომელშიც საუბრია ჯვრის მონასტრის რეაბილიტაციის შესახებ და რესპოდენტი ჯვრის ფასადის კონსერვაციის პროექტის ხელმძღვანელი გახლავთ.

[7] თეა თოფურია., ''ნატყვიარები თავის ქალებზე'' - რა წერია ჟურნალში ''კინ - O'', რომელიც თაროზეა შემოდებული''. (თოფურია, 2023)
[8] ეკა ქევანიშვილი., ''გოჭები და ქათმები აბრეშუმის კაბებში'' - როგორ დაიწერა 21 - ე საუკუნის ხუთი ზღაპარი''. (ქევანიშვილი, 2023)
[9] *ნასტასია აარბული., "ჯვარი საფრთხის ქვეშ, ინტერვიუ დავით ხოშტარიასთან".* (არაბული, 2023)

3.3 ‘’ინდიგო”

ონლაინგამოცემა ‘’ინდისგოს’’ ვებ-გვერდზე, საკვლევ პერიოდში, 2023 წლის 1 მარტიდან 2023 წლის 1 ივნისამდე, კულტურის გაშუქებასთან დაკავშირებული 15 მედიამასალა გამოქვეყნდა.

ჟანრი:

ჟანროვრივი თვალსაზრისით ‘’ინდიგოზე’’ კულტურასთან დაკავშირებული თემები ნიუსებით არ შუქდება, არამედ გვხვდება საკითხის უფრო სიღრმიესული განხილვა და ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული 15 სიახლიდან 8 მოსაზრების სტატია-ბლოგია, 4 ინტერვიუ, 2 რეცენზია და 1 ვიდეო-ფოტომასალა გახლავთ.

დიაგრამა 3.3: ჟანრობრივი გადანაწილება



საინტერესო და ინფორმაციული სტატია შემოგვთავაზა ჟურნალისტმა გიორგი ხასაიამ სახელწოდებით: ‘’მე ვწუხვარ ბაღზე’’[10], რომელშიც განიხილავს, ხელოვანების მარიამ ნატროშვილისა და დათუ ჯინჭარაძის, შემოქმედების ახალ ნაყოფს, რომელიც ვირტუალურ რეალობაშია წარმოდგენილი და ეკოლოგურ კატასტროფას ეხება. ავტორი აღწერს მათ ნამუშევარს და ასევე გვიამობობს დასმული საკითხის წინაპირობის შესახებ,

[10] *გიორგი ხასაია., ‘’მე ვწუხვარ ბაღზე’’.* (ხასაია, 2023)

ისტორიულ პერსპეკტივაში. საკითხი სიღრმისეულადაა მიმოხილული და საკმაოდ ამომწურავ ინფორმაციას იძლევა იმაზე, რაზეც წერს ჟურნალისტი.

''ინდისგოს'' გვერდზე ასევე გვხვდება რეცენზია სათაურით ''სწრაფი, ღამისიერი|სწრაფი რეცენზია'' [11]აჩიკო ბეჯანიძის ავტორობით. მასში საუბარია ზურა ჯიშკარიანის მიერ გამოცემულ წიგნზე ''სწრაფი, ღამისფერი''. ავტორი მკითხველს წარმოდგენას უქმნის იმის შესახებ, თუ როგორი მოლოდინი ჰქონდა ამ წიგნზე საზოგადოებას და რომ პრეზენტაციამ სრული ანშლაგით ჩაიარა. მისი წერის მანერიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჟურნალისტი მწერლის მიმართ სიმპათიებითაა განსჭვალული და მის შემოქმედებასაც კარგად იცნობს. აშკარაა, რომ რეცენზიის ავტორი იმ თემასთან დაკავშირებით, რის შესახებაც წერდა, ინფორმაციას გაეცნო. აჩიკო ბეჟანიძის დაწერილ რეცენზიაში ვკითხულობთ: ''რუსეთი მორიგ ომს დაიწყებს. ატომურ იარაღს გამოიყენებს და სამყაროს გაანადგურებს. მომავალი ომის შიში ავტორს სულ თან დაჰყვება.'' შესაძლებელია ვივარაუდოდ, რომ რეცენზიას პოლიტიკური მოტივებიც თან დაჰყვება და თუ გავითვალისწინრბთ, რომ ''ინდიგოს'' საკვლევ ვადაში სხვა რეცენზია არ გამოუქვეყნებია და ეს ერთადერთია და, მაინც და მაინც, ის წიგნია არჩეული, რომელიც დღევანდელ პოლიტიკურ მოვლენებს ეხმიანება, ეს ვარაუდი გამართლებულია.

''ინდიგოს'' პლათფორმაზე გვხვდება ინტერვიუც, რომლის ერთერთი მაგალითია ნატუკა ნაცვლიშვილის მიერ მომზადებული მასალა ''ეს შოუ არაა, ნამდვილი ამბავია, სიკვდილი და სიცოცხლე | სტიან ვესტერჰუსი''[12]. მასალა 2023 წლის 11 აპრილსაა გამოქვეყნებილი და ნორვეგიელი მუსიკოსის, კომპოზიტორის, გიტარისტისა და მკვლევარის სტიან ვენტერჰუსის შესახებ გვიამბობს. ავტორი რესპოდენტს საინტერესო კითხვებს უსვამს და მკითხველს შთაბეჭდილება ექმნება, რომ ჟურნალისტი ამ სფეროში განსწავლულია. რეპოდენტის პასუხებიდან ბევრი მნიშვნელოვანი კვანძის დაჭერაა შესაძლებელი, ინტერვიუ საინტერესო და სიღრმისეულია.

---

[11] *აჩიკო ბეჯანიძე., "სწრაფი, ღამისიერი/სწრაფი რეცენზია".* (ბეჯანიძე, 2023)

[12] *ნატუკა ნაცვლიშვილი., "ეს შოუ არაა, ნამდვილი ამბავია, სიკვდილი და სიცოცხლე / სტიან ვესტერჯუსი".* (ნაცვლიშვილი, 2023)

თემა:

ონლაინ გამოცემებაზე დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ ''ინდიგოზე'' მასალათა მრავალფეროვნება თემატურად ასეა გადანაწილებული:

ლიტერატურა - 9

მუსიკა - 5

მხატვრობა - 1

''რადიო თავისუფლების'' მსგავსად ''ინიდგოზეც'' თემატურად ლიტერატურის შესახებ დაწერილი მასალები ლიდერობს, მაგრამ განსხვავებით წინა ონლაინგამოცემისაგან, მოცემულ პლათფორმაზე მუსიკასაც საკმაო ყურადღება ეთმობა და 15 მასალიდან 5 სწორედ ამ თემას შეეხება.

ჟურნალისტი გიორგი ყორღანაშვილი გვათავზობს ინტერვიუს ქართველ მუსიკოს ალექსანდრე ხარანაულთან ''ყველაფრის ფოლკლორი'[13]', რომელშიც ავტორი და რესპოდენტი ფოლკლორის მუსიკაში გადატანაზე საუბრობენ და ალექსანდრე ამბობს: ''მეც დავიწყე ერთი კაცის ხმების ძებნა ქართულ ფოლკლორში და მივაგენი კიდეც, ამან მომანდომა და მერე ვიმღერე''.

წყარო:

''ინდიგოს'' ვებ-გვერდზე გამოქვეყენებულ მასალათა უბრავლესობას პირველწყარო ჰყავს. საინტერესოა ინტერვიუ, რომელსაც ზურა ჯიშკარიანი გვთავაზობს სახელწოდებით ''ინტერვიუ არტურ შოპენჰაუერთან''[14], რომელიც 163 წლის გარდაცვლილია. როგორც ავტორი ამბობს, რესპოდენტად გამოიყენა chatGPT, რომელიც, მართალია პროვოკაციულ კითხვებს თავს არიდებს და პოლემიკაში არ შემოდის, მაგრამ ჟურნალისტმა ის დაარწმუნა, რომ შოპენჰაუერი იყო და ასე დაწერა ინტერვიუ. ასეთ შემთვევაში პირველწყაროდ გერმანელი ფილოსოფოსი ვერ ჩაითვლება, ვინაიდან ხელოვნური ინტელექტი მის

[13] *გიორგი ყორღანაშვილი., "ყველაფრის ფოლკლორი".* (ყორღანაშვილი, 2023)
[14] *ზურა ჯიშკარიანი., "ინტერვიუ არტურ შოპენჰაუერთან".* (ჯიშკარიანი, 2023)

ნამუშევრებს იყენებს გასაანალიზებლად და ასე პასუხობდ კითხვებს იმ სავარაუდო პასუხებს, რასაც რესპოდენტი გასცემდა. ინტერვიუ ძალიან საინტერესო გამოდგა, ის ძირითადად რუსეთ-საქართველოსა და რუსეთ-უკრაინის დაძაბულ ურთიერთობებს შეეხებოდა.

ტონი:

''ინდიგოს'' მიერ გამოქვეყენებულ მასალათა უმრავლესობაში ნეიტრალური, უფრო მეტად პიზიტიურისკენ გადახრილი ტონი იკვეთება, თუ არ ჩავთვლით ისეთ სიახლეებს, რომელშიც რუსეთზეა საუბარი. ამის მაგალითია შოთა იათაშვილის მიერ დაწერილი მასალა ''პრეზიდენტი და დეზერტირი | ალექსანდრე დელფინოვი''[15], რომელშიც ავტორი პოეტის ალექსანდრე დელფინოვის ბიოგრფიის შესახებ ცნობებს გვაწვდის და შემდეგ გვთავაზობს მის მიერ ნათარგმნ ლექსებს სახელწოდებებით: ''არა ომს!'', ''პრეზიდენტი და დეზერტირი'', ''ნაპრალის თაობა'', რომლებიც ნეგატიური ტონის შესაქმნელადაა არჩეული და ნათარგმნი, რაც მიმართულია რუსეთის მთვარობისა და კერძოდ, ვლადიმერ პუტინისაკენ და მკითხველის უარყოფითად განწყობას ემსახურება.

პროფესიული ეთიკა:

''ინდიგოს'' ჟურნალისტები, უმეტესი მასალების წერისას, ჟურნალისტურ პროფესიულ ეთიკას იცავენ. მათ ნაშრომებში იგრძნობა დარგის ცოდნა და პროფესიონალიზმი. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თითოეული გამოქვეყნებული სტატიისა თუ ინტერვიუს უკან დიდი შრომაა ჩადებული. წყაროები რელევანტურია. აღსანიშნავია, რომ იგრძნობა რედაქციის აშკარა გამიჯვნა და უარყოფითი დამოკიდებულება რუსული მხარის მიმართ, რაც გამოიხატება შემდეგ სტატიებში: ''პრეზიდენტი და დეზერტირი'', ''ინტერვიუ არტურ შოპენჰაუერთან'' და ასევე ''სწრაფი, ღამისიერი | სწრაფი რეცენზია''.

ძირითადი ტენდენდიცები:

- **პოეზიისა და პროზის გაშუქება, როგორც მთავარი ფოკუსი**

[15] *შოთა იათაშვილი., ''პრეზიდენტი და დეზერტირი | ალექსანდრე დელფინოვი''.* (იათაშვილი, 2023)

დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ ''ინდისგოს'' ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული მასალათა უმრავლესობა ლიტერატურულ ჟანრს ეთმობა და მათში მრავლადაა პოეზიისა და პროზის ნიმუშებიც. ჟურნალისტი ბაჩანა ჩაბრაძე გვთავაზობს მისივე ნათარგმნ ამონარიდებს პოლინ კიპოს შემოქმედებიან სათაურით ''დამაწყნარებელი პერანგები''[16]. ვხვდებით ასევე ნათია გიორგაძის ავტორობით გამოქვეყნებულ მასალას ''ვინ მეტყოდა, საით უნდა წასულიყო მდინარე?''[17], რომელშიც წაროდგენილია პოეზიის სხვადასხვა ნიმუშები ხალხური პოეზიიდან და ჯემალ ქარჩხაძის ლექსიც.

- **ჟურნალისტები აქტიურად იყენებენ ბლოგის წერის სტილს:**

''ინდიგოს'' პლათფორმაზე გამოქვეყნებული სიახლეთა უმრავლესობა სტატია-ბლოგის სტილშია დაწერილი, ანუ ისინი ბოლომდე არც ბლოგს წარმოადგენს და არც მოსაზრების სტატიაა. ასევე გხვდება ერთი ბლოგ-რეცენზიაც სათაურით ''ღამე ქუთაისში | SKAZZ, MELQO, ეკო''. [18]რომელშიც ჟურნალისტი ბექა შათირიშვილი მისი და მისი მეგობრის გიგის პარასკევ საღამოს ქუთაისში, რეფლექტორში გამართულ ივენთზე დასწრებას აღწერს. ავტორი წერს: ''ქალაქში ივენთის წინა ღამეს ჩავედით. ნორმალური ბარის ასარჩევად კაი ბევრი სიარული მოგვიწია''. წერის მსგავსი სტილი ბლოგებისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა მეორე ნაწილში ჟურნალისტი ივენთზე გამომსვლელების შემოქმედებას რეცენზირებას უკეთებს.

[16] *ბაჩანა ჩაბრაძე., ''დამაწყნარებელი პერანგები''.* (ჩაბრაძე, 2023)
[17] *ნათია გიორგაძე., ''ვინ მეტყოდა, საით უნდა წასულიყო მდინარე?''.* (გიორგაძე, 2023)
[18] *ბექა შათირიშვილი., ''ღამე ქუთაისში | SKAZZ, MELQO, ეკო''.* (შათირიშვილი, 2023)

3.4 ‘’On.ge”

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კვლევის ფარგლებში დაკვირვების მესამე ობიექტი გახლდათ ონლაინგამოცემა ‘’On.ge’’, რომლის ვებ-გვერდზე საკვლევ პერიოდში კულტურის განყოფილებაში 359 სიახლე გამოქვეყნდა, რაც წინამორბედ გამოცემებთან შედარებით აბსოლუტური რეკორდია.

ჟანრი:

ჟანრობრივი თვალსაზრითი მოცემული ონლაინ გამოცემა უფრო მრავალფეროვნებით გამოირჩევა, ვიდრე დანარჩენი ორი გამოცემა, რაც ლოგიკურია იმის გათვალისწინებით, რომ მასში ბევრად მეტი მასალაა გამოქვეყნებული. ამის გამო გადავწყვიტეთ ჟანრობრივი მასალის კვლევისას მხოლოდ 1 თვე, აპრილი გამოგვეყენებინა, როდესაც 81 სიახლე გამოქვეყნდა, რათა, შეძლებისდაგვარად გავთანაბრებოდით დანარჩენ 2 საკვლევ ონლაინ მედიას.‘’On.ge’’-ზე 1 აპრილიდან 1 მაისის ჩათვლით ჟანრობრივად მასალები ასე გადანაწილდა:

ნიუსები - 49

მოსაზრების სტატია-ბლოგი - 9

ვიდეო-ფოტომასალა - 9

ინტერვიუ - 1

რეცენზია - 2

ქვიზები - 6

ციტატები - 5

დიაგრამა 3.4: ჟანრობრივი გადანაწილება



''რადიო თავისუფლებასა'' და ''ინდიგოსაგან'' განსხვავებით, ''On.ge''-ზე, კულტურის განყოფილებაში გვხვდება გასართობი ქვიზები და ასვე ციტატები. სულ გვხვდება 5 ციტატა, რომლის არსებობა ამ განყოფილებაში ცოტა უცნაურია, რადგან კულტურასთან მათი კავშირი მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ხელოვანი ადამიანების გამოთქმულია, თემით კი ერთერთი მედიკამენტის უფასოდ გაცემის მოთხოვნის შესახებ არსებულ აქციებს ეხმიანება. დათო ჯიქია, ბენდ ''Bedford falls''-ის ვოკალისტი წერს: ''მხარდაჭერას ვუცხადებ მშობლების პროტესტს. ბავშვების ჯანმრთელობა ნებისმიერ პოლიტიკურ მიდრეკილებაზე მაღლა დგას. მინდა, რომ ამ მოთხოვნას ყველანი შევუერთდეთ. კანცელარიასთან, შაბათს, სამ საათზე, ყველანი გვერდით დაუდექით ბავშვებს. მიეცით ბავშვებს წამალი''[19]! მსგავსი ციტატებია დანარჩენი ოთხ გამოქვეყნებულ მასალაშიც მითითებული.

თემა:

''On.ge''-ზე თემატური დაკვირვებით შეგვიძლია აღმოვაჩინოთ, რომ ვებ-გვერდზე, როგროც ჟანრის მრავალფერონება, ისე თემის მრავალფეროვნებაც გვხვდება. ამ გამოცემაში გამოქვეყნებული მასალების ნაწილი ისეთ თემატიკას განეკუთნება, რომელიც ''რადიო თავისუფლებასა'' და ''ინდიგოზე'' არ გვხვდდებოდა, რაც ორი რამითაა განპირობებული. ერთი იმით, რომ ამ პლათფორმაზე ბევრად მეტი სიახლე ქვეყნდება, ვიდრე დანარჩენ

[19] *(on.ge, 2023)*

ორზე და ასევე ‘’On.ge’’ მეტადაა ორინეტირებული გასართობ, სარეკრეაციო თამაშებსა და მოკლე ნიუსების გამოქვყნებაზე.

მოცემული ონლაინ პლათფორმის შესწავლის შემდეგ თემატური განაწილების ასეთი შედეგი მივიღეთ:

1. კინო - 25
2. ლიტერატურა - 12
3. მხატვრობა - 2
4. შოუ-ბიზნესი - 13
5. მუსიკა - 9
6. ფოტოგრაფია - 7

წყარო:

‘’რადიო თავისფლებასა’’ და ‘’ინდიგოსგან’’ განსხვავებით ‘’On.ge’’ არ იყენებს პირველწყაროებს. მათ მიერ გამოქვეყნებული მასლების უმრავლესობა ციტირებულია და უცხოური ონლაინ მედიებისგანაა აღებული და ნათარგმნი. ამ ტენდენციით განსაკუთრებით ნიუსები ხასიათდება. თითოეული ნიუსის ბოლოს მითითებულია წყაროები, რომელზე გადასვლის დროსაც უცხოენოვან საიტზე აღმოვჩნდებით. მაგალითად, მათ გვერდზე გამოქვეყნებულია ნიუსი სათაურით ‘’ფოტოგრაფმა კონკურსში ხელოვნური ინტელექტით შექმნილი ფოტო გააგზავნა და გაიმარჯვა’’[20], რომელსაც ავტორი არ ჰყავს და მხოლოდ წყაროს დასახელება გვხვდება, რომელიც ‘’The Guardian’’ არის.

ზოგჯერ გვხვდება სტატიები პირველადი წყაროებით, რომლის ერთერთი მაგალითია ჟურნალისტ გიორგი მუზაშვილის სტატია ‘’სად გადის ზღვარი პოლიტკორექტულობასა და ცენზურას შორის’’[21]. ავტორს ტექსტში სხვადასხვა წყაროდან მიღებული ციტატები მოჰყავს და ტექსტი საკამოდ სრულყოფილი სახისაა, ამომწურავი და სიღრმისეული

[20] *(on.ge, 2023)*

[21] *გიორგი მუზაშვილი., ‘’სად გადის ზღვარი პოლიტკორექტულობასა და ცენზურას შორის’’. (მუზაშვილი, 2023)*

ანალიზი. სტატიის შემჩნევა მარტივია, რადგან მოცემული პლათფორმა მსგავსი სახის ხარისხიანი მასალებით მკითხველს არ ანებივრებს.

კულტურის განყოფილების ერთერთი რუბრიკაა ''On.ge-ის გუნდი გირჩევს'', რომლის ფარგლებში გვხვდება თამუნა კიზივაძის მიერ გამოქვეყნებული ბლოგ-რეცენზია ''თამუნას 5 საყვარელი ანიმე''[22], სადაც ავტორი საკუთარ გამოცდილებაზე საუბრობს და შემდეგ მკითხველს რჩევებს აძლევს ანიმეების შესახებ და ამ ანიმეების მოკლე რეცენზიასაც გვთავაზობს, რისი წყაროც თავადაა.

ტონი:

ვებ-გვერდზე ''On.ge'' გამოქვეყნებული მასალის ტონი ძირიტადად ნეიტრალურია, ვინაიდან სიახლეების უმრავლესობას ნიუსები წარმოდგენს და მათში ტონი თითქმის არ იგრძნობა, უბრალოდ მომხდარ ფაქტს გადმოგვცემენ, ყოველგვარი მიკერძოებისა თუ სუბიექტური აზრისაგან თავისუფლად.

მოსაზრების სტატიებიც და ინტერვიუც ნეიტრაული ტონითაა დაწერილი. მაგალითად, ზურა ჯიშკარიანის მიერ დაწერილი ინტერვიუ სახელწოდებით ''მწერალი აპლიკაცია'' - ხელოვნური ინტელექტის ინტერვიუ ზურა ჯიშკარიანთან''[23], სადაც ავტორი თავადაა რესპოდენტი, ხოლო კითხვებს მას ხელოვნური ინტელექტი უსვამს, რადიკალური პოზიტიური ან ნეგატიური ტონი არ იკვეთება.

პროფესიული ეთიკა:

კულტურული თემების გაშუქებისას ''On.ge'' ყველგან იცავს ჟურნალისტური ეთიკის ნორმებს. ნიუსების უმრავლესობა ავტორის გარაშეა გამოქვეყნებული და წყაროების მრავალფეროვნებაც ნაკლებად გვხვდება, მაგრამ მოკლე ნიუსებისთვის ეს დამახასიათებელი თვისებაა. უშუალოდ მოსაზრების სტატიები, რომელთა რაოედენობაც შედარებით ნაკლებია, ასე თუ ისე, გამართულადაა დაწერილი.

---

[22] *თამუნა კიზივაძე., "თამუნას 5 საყვარელი ანიმე". (კიზივაძე, 2023)*

[23] *ზურა ჯიშკარიანი., "მწერალი აპლიკაცია" - ხელოვნური ინტელექტის ინტერვიუ ზურა ჯიშკარიანთან".* (ჯიშკარიანი, 2023)

ძირითადი ტენდენციები:

- **ონლაინ გამოცემა არაა ორიენტირებული ხარისხიან მასალაზე**

''On.ge''-ის ვებ-გვერდზე დაკვირვებისას შეგვიძლია თმამად ვთქვათ, რომ ონლაინპლატფორმა კულტურის მიმართულებით არ იძლევა სიღრმისეულ გაშუქებას. ძალიან მწირია ინტერვიუების, რეცენზიებისა და მოსაზრების სტატიების რაოდენობა. ძირითადად გვხვდება მოკლე ნიუსები, ჭორები შოუ-ბიზნესის შესახებ და გასართობი ქვიზები. ეს შეგვიძლია ვთქვათ როგორც 1 აპრილიდან 1 მაისის პერიოდზე გამოქვეყნებულ სიახლეებზე, ისე მარტის და მაისის მონაცემებზე დაყრდნობითაც.

- **გამოცემის პრიორიტეტს წარმოადგენს უცხოური კულტურის თემები**

დაკვირვებამ ასევე ცხადჰყო, რომ ''On.ge''-ის მიერ გამოქვეყნებული მასალების უმრავლესობა უცხოური წყაროებიდანაა გადმოთარგმნილი და საქართველოს ფარგლებში მიმდინარე კულტურულ მოვლენებს ნაკლებად ასახავს. გამოცემა ძირითადად არ ინტერესდება ამ კუთხით ქვეყნაში მიმდინარე მოვლენებით და მხოლოდ მასშტაბურ ამბებს აშუქებს. მაგალითად ნიუსი სათაურით ''აგვისტოში საქართველოში Imagine Dragons და The Killers ჩამოვლენ''.[24]

[24] *(on.ge, 2023)*

3.5 ''რადიო თავისუფლების'', ''ინიდგოსა'' და ''On.ge''-ს შედარებითი ანალიზი

ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამივე ონლაინპლათფორმა კულტურას სხვადასხვანაირად აშუქებს. ძირითადად მაინც ''On.ge'' განსხვავდება ''რადიო თავისუფლებასა'' და ''ინდიგოსაგან''. ''On.ge'', განსხვავებით დანარჩენი მედიასაშუალებებისგან, უფრო ნიუსების გაშუქებაზეა ორინტირებული და სიღრმისეული მასლის წარმოებას ნაკლებ ყურადღებას აქცევს. ხოლო ''რადიო თავისუფლება'' ხარისხიან სტატიებს გვთვაზობს, რომელიც ძირითადად, ქართულ კულტურას ეხება. ''ინდიგო'' კი ყურადღებას უთმობს, როგორც ქართულ, ისე უცხოური კულტურის თემებს.

წყაროებზე დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ ამ შემთხვევაშიც ''რადიო თავოსუფლება'' და ''ინდიგო'' უფრო ხშირად პირველწყაროსთან ერთად მეტად რელევანტურ წყაროებს იყენებენ. ''რადიო თავიუფლების'' მასალებში გვხვდება ოფიციალური პირებისა და სამთავრებო სტრუქტურის წარმომადგენლების განცხადებებიც.

შედარებისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ სიახლეების გამოქვეყნების რაოდენობაც, რაშიც ''On.ge'' მნიშვნელოვნად უსწრებს ''რადიო თავისუფლებასა'' და ''ინდიგოს''. ამ ონლაინ პლათფორმაზე, კულტურის განყოფილებაში, საკვლევი დროის მოცემულ მონაკვეთში, ანუ 2023 წლის 1 მარტიდან, 2023 წლის 1 ივნისამდე, 359 მასალა გამოქვეყნდა, რაც 12-ჯერ მეტია ''რადიო თავისუფლების'', ხოლო 24-კერ მეტი ''ინდიგოს'' მასალების რაოდენობაზე.

რაოდნეობა არ განსაზღვრავს ხარისხს და დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მიუხედავად მასალის სიმცირისა, ''ინდიგო'' და ''რადიო თავისუფლება'' იკავებენ მოწინავე პოზიციებს.

თავი 4. დასკვნა

ჩვენს მიზანს წარმოადგენდა საკვლევ თემაზე დასმული კითხვებისათვის პასუხის გაცემა, რაშიც კონტენტ-ანალიზი და გამოყენებული ინტერნეტრესურსები დაგვეხმარა. კვლევის ამ მეთოდის დახმარებით დავადგინეთ ის, თუ როგორ შუქდება ხელოვნების საკითხები ქარტულ ონლაინგამოცემებში.

კონტენტ-ანალიზის დახმარებით დავადგინეთ, თუ არსებული ონლაინგამოცემებიდან რომელი რა რაოდენობით აშუქებს კულტურის თემებს მედიაში და ვნახეთ, რომ ამ კუთხით ლიდერობს ''On.ge'', რომელსაც მოჰყვება ''რადიო თავისუფლება'', ხოლო ბოლო ადგილზეა ''ინდიგო''.

უნდა აღინიშნოს, რომ კულტურას ბევრი მიმართულება აქვს, იქნება ეს ლიტერატურის, მუსიკის, მხატვრობის, თეატრის, კინოს, ოპერის, კულტურული ძეგლების, ფოტოგრაფიისა თუ შოუ-ბიზნესის გაშუქება. ჩვენს მიერ არჩეული ონლაინ გამოცემებიდან არცერთი ხასიათდება ამ მრავალფერონვნებით. ზოგიერთი მიმათულება, აღებულ საკვლევ პერიოდში, არც ერთხლ არ გაშუქებულა.

სამივე ონლაინ გამოცემაში ჯამში, ამ სამი თვის განმავლობაში, კულტურის განყოფილებაში, 392 სიახლე გამოქვეყნდა, მაგრამ, იმის გათვალისწინებით, რომ უმრავლესობა მათგანი ''On.ge''-ზე იქნა დაწერილი და აღნიშნული პლათფორმა ბევრ მოკლე ნიუსებს, ყვითელი პრესის ამბებსა და გასართობ ქვიზებს გვთავაზობს, საერთო ჯამში გამოდის, რომ ხელოვნების თემები ქართულ ონლაინმედიაში სათანადო სიხშირითა და რაოდენობით არ შუქდება.

შეგვიძლია ასევე დავასკვნათ, რომ ყველაზე დიდ პლათფორმაზე, ანუ ''On.ge''-ზე არც ხარისხიანი და სიღრმისეული მასალა ქვეყნდება, რაც მიუთითებს იმაზე, რომ საერთო ჯამში დარგობივი ჟურნალისტები ამ მიმართულებით სიმრავლით არ გამოირჩევიან, თუმცა, ამასთან ერთად აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ''ინდიგოსა'' და ''რადიო თავსუფლების'' ჟურნალისტები საპირისპირო შედეგს გვაჩვენებენ. კონტენტს-ანალიზმა

დაგავანახა, რომ ამ პლათფორმებში მომუშავე კადრები პროფესიონალიზმით გამოირჩევიან, რომლებიც კარგად იცავენ ჟურნალისტურ ეთიკის ნორმებს.

კითხვაზე პასუხი, თუ კულტურის რომელი კონკრეტული მიმართულებები შუქდება უფრო მეტად ონლაინ გამოცემებში, ლიტერატურაა. კვლევამ აჩვენა, რომ სამივე ონლაინ მედიაში ყველაზე დიდი ყურადღება ლიტერატურაზე წერას ექცევა. იქნება ეს რეცენზია, ინტერვიუ თუ მოსაზრების სტატია.

კვლევამ ასევე გვიჩვენა, რომ ''ინდიგოს'' მიერ გამოქვეყნებულ მასალაში იგრძნობა პოლიტიკური პოზიციებიც, რაც მათ მიერ რუსული მხარის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებაში გამოიხატება. ''On.ge''-ზე მსგავსი ტენდენცია არ შეინიშნება. ხოლო ''რადიო თავისუფლებაზე'' შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც ვხვდებით.

რეკომენდაციები:

- **თემათა მრავალფეროვნება**

აშკარაა, რომ ონლაინ გამოცემები მოიკოჭლებენ კულტურის მხრივ მრავალფეროვანი თემების გაშუქებაში. საინტერესო იქნებოდა სტატიები მოდის, თეატრის, ოპერის, ფოტოგრაფიისა და სხვა თემების შესახებ. ეს იქნებოდა მრავალფეროვანი მკითხველის მოსაზიდი კარგი საშულება.

- **ეთიკური ნორმების დაცვა**

მიუხედავად იმისა, რომ კვლევის ფარგლებში ეთიკური ნორმების აშკარა და უხეში დარღვევა არ გამოვლენილა, მაინც საჭიროა ავტორს ახსოვდეს ჟურნალისტური ეთიკის ნორმები და მკაცრად მიჰყვეს მას. ეთიკის ნორმად იმ თემის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის ცოდნასაც თუ მოვიაზრებთ, რაზეც ჟურნალისტი წერს, მაშინ გამოსასწორებელი ამ მხრივაც არის.

- **მასალის სიღრმისეული ანალიზი**

ეს რეკომენდაცია არ ეხება ''რადიო თავისუფლებისა'' და ''ინდიგოს'' ჟურნალისტებს, რადგან მათ მიერ დაწერილი მასალები სიღრმისეული და ამომწურავია, იგრძნობა ჟურნალისტების პროფესიონალიზმი და საკითხისადმი ცოდნა, ''On.ge''-საგან განსხვავებით, სადაც სტატიებს ნაკლებად ეტყობათ იგივე, ძირითადად ნიუსური სახის მოკლე სიახლეებია. ონლაინ გამოცემას კულტურის განყოფილება ცალკე კი აქვს გამოყოფილი, მაგრამ ის ფუქცია არ აკისრია, რასაც ხელოვნების გაშუქება უნდა ასრულებდეს. ვფიქრობ სათანადო კვალიფიციის მქონე ჟურნალისტების მოძიება და კადრების გადახარისხება სიტუაციას უკეთესობისკენ შეცვლიდა.

გამოყენებული ლიტერატურის სია

(n.d.). Retrieved from culturepartnership.eu: https://www.culturepartnership.eu/en/article/sir-john-tusa

(2023, 4 5). Retrieved from https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9B-%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9C-%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E

Creativity, C. a. (2015, 11 22). *Why do we need to cover culture even in the times of war?* Retrieved from youtube.com: https://www.youtube.com/watch?v=tF416aaP0v0

Fürstenau, M. (2020, 11 30). *How the Nazis used poster art as propaganda*. Retrieved from dw.com: https://www.dw.com/en/how-the-nazis-used-poster-art-as-propaganda/a-55751640

Hausman, J. J. (1966). Journalism and Art Criticism. *Art Journal*, 18-20.

Ochs, G. W. (1906). The Annals of the American Academy of Political and Social Science. *Business Professions*, 38-57.

Oehmer-Pedrazzi, F. K. (2022). *Standardisierte Inhaltsanalyse in der Kommunikationswissenschaft – Standardized Content Analysis in Communication Research.*

on.ge. (2023, 4 27). Retrieved from https://on.ge/story/118526-bedford-falls-%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%95%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%97-%E1%83%91%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%94%E1%

on.ge. (2023, 4 18). Retrieved from https://on.ge/story/118122-sony-%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%A8%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%

on.ge. (2023, 4 20). Retrieved from https://on.ge/story/118240-%E1%83%90%E1%83%92%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98-imagine-dragons-%E1%83%93%E1%83%90-th

Vuleta, B. (n.d.). *Blogging Statistics*. Retrieved from 99firms.com: https://99firms.com/blog/blogging-statistics/#gref

არაბული, ნ. (2023, 3 3). Retrieved from https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A3-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97-%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%90%E1

ბეჯანიძე, ა. (2023, 4 3). Retrieved from https://indigo.com.ge/articles/stsraphi-ghamisieri

ბლოგი. (n.d.). Retrieved from ka.wikipedia.org: https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98

გიორგაძე, ნ. (2023, 4 10). Retrieved from https://indigo.com.ge/articles/natia-giorgadze

გიორგი ჩართოლანი, ლკ. (2019). *კულტურა მედიაში*. თბილისი: "კენტავრი".

ზავლუკაია, ე. (2023, 5 26). Retrieved from https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%9D-%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D-%E1%83%93%E1%83%90-cut-piece-%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%A8%E1%83%98/32429406.html

თოფურია, თ (2023, 3 20). Retrieved from https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%A7%E1%83%95%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%96%E1%83%94-%E1%83%A0%E

თოფურია, თ (2023, 5 1). Retrieved from https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%90%E1%83%A7%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%94%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%94%E

იათაშვილი, შ. (2023, 5 16). Retrieved from https://indigo.com.ge/articles/prezidenti-da-dezertiri

კაჭკაჭიშვილი, თ (2023, 5 18). Retrieved from https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A9%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%93%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E

კვირიკაშვილი, ნ. (n.d.). *კულტურის საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში*. Retrieved from mdfgeorgia.ge: https://mdfgeorgia.ge/geo/view_research/105

კიზივაძე, თ (2023, 4 28). Retrieved from https://on.ge/story/118382-on-ge-%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A1-%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A1-5-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A7

მაიუა. (n.d.). Retrieved from ucnauri.com: https://ucnauri.com/130414/%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-

%E1%83%9F%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90/

მუჯაშვილი, გ. (2023, 4 5). Retrieved from https://on.ge/story/117290-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%96%E1%83%A6%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2

ნაცვლიშვილი, ნ. (2023, 4 11). Retrieved from https://indigo.com.ge/articles/stian-vesterhusi

პირველარხი. (2020, 11 30). Retrieved from youtube.com: https://www.google.com/search?q=%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98+%E1%83%9F%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90&sxsrf=APwXEdcBJTurg3olI

რეხვიაშვილი, ჯ (2023, 3 25). Retrieved from https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1

ფორმულა, ბ. (n.d.). Retrieved from businessformula.ge: https://businessformula.ge/News/14344

ქევანიშვილი, ე. (2023, 5 2). Retrieved from https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%A0-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%98%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90-21-%E1%83%94-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83%

ყორღანაშვილი, გ. (2023, 4 20). Retrieved from https://indigo.com.ge/articles/aleksandre-kharanauli

შათრიშვილი, ბ. (2023, 4 5). Retrieved from https://indigo.com.ge/articles/ghame-kutaisshi

შიშკინი, ა. (2023, 4 22). Retrieved from https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A9%E1%83%98-%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A1-%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93-%E1%83%90%E1%83%A6%E

ჩაბრაძე, ბ. (2023, 5 15). Retrieved from https://indigo.com.ge/articles/polin-piko

ხასაია, გ. (2023, 4 18). Retrieved from https://indigo.com.ge/articles/me-vtsukhvar-bakhze

ჯიშკარიანი, ზ (2023, 3 9). Retrieved from https://indigo.com.ge/articles/interviu-shopenhauertan

ჯიშკარიანი, ზ (2023, 4 17). Retrieved from https://on.ge/story/118088-%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-

%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98
%E1%83%90%E1%83%90-
%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%A0
%